პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 64
(7375)

3
1983 წ.
აპრილი.
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО
Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ლენინის ორდენოსანი საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ 60 წლის თავი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ პროლეტართა საზოგადოება „დინამო“ შეიქმნა 1923 წლის აპრილში კომპონატური პირებისა და სამეთოა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ფ. ე. ძერჟინსკის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებმაც. 1923 წელს „დინამოს“ ორგანიზაციები შეიქმნა რესპუბლიკაში, შემდეგ კი — ქალაქებში, სოფლებში, სამხედრო ნაწილებში, უცხოეთში.

თავისი არსებობის უმეტესი დღეებიდანვე საზოგადოება მთელ მეცადინეობას ახმარდა ჩეკისტების — ოქტომბრის მონაპოვართა ერთგული დამცველების ფიზიკური წრთობის ამაღლებას. აქ ამტეტრად ვითარდებოდა სპორტის ყველა სახეობა და უწინარეს ყოვლისა სროლა, კრივი, ჭიდაობა, ძალოსნობა, ფარიკაობა, რაც უწყობდა ხელს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გეგრთხანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველის თანამშრომელთა ფიზიკურ მომზადებასა და სპეციალურ გაწვრთნილობას.

1937 წელს საზოგადოება „დინამო“ მუშაობაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის და საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში წამყვანი როლისათვის დაჯილდოდა ლენინის ორდენით. ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს დინამოელებმა საბჭოთა სპორტის მატიანეში.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკურმა ორგანიზაციამ. პირველი დღეებიდანვე იგი დიდნაწილად ლენინის სახელობის რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ორგანიზაციის პრინციპით გადაწყვეტაში. განსაკუთრებული უურადღება ეთმობოდა ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატურ მეცადინეობას. ყოველდღიურ პრაქტიკაში შემოდგა მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ტურისტული ლაშრობა, ცურვა, სპორტის კუთხეებიდებულ სახეობებში რესპუბლიკურ ასპარეზობათა მოწყობა, ქვეყნისა და რესპუბლიკის ჩემპიონატებში მონაწილეობა.

დიდ სამამულო ომში სამშობლოს დასაცავად მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს დინამოელებიც აღდგნენ. ორგანიზაციებში გაიშალა სნაიპერების, მეტყველმარქვევების, ულმბარამტყორცნელების, ხელჩართული ბრძოლის ოსტატთა მომზადება. პრატიკამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს რესპუბლიკის დინამოელთა მხედრულ გმირობას ზღვაში და ფრონტის წინა ხაზზე, ბევრი მათგანი დაჯილდოდეს ორდენებითა და მედლებით.

ომის შემდგომ წლებში საქართველოს „დინამოს“ საბჭოს მთელი საქმიანობა მიზნად ისახავდა პატრიოტიზმის მეშვეობით დასახულ იმ ამოცანათა შესრულებას, რომ ახალ ზარაზით ახალი ადამიანი, რომელშიც პრობინიელად იქნებოდა შერწყმული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიმრთელე და ფიზიკური სრულყოფა. ახლა მშრ ნიშნოსანია რიცხვი საზოგადოების მთელ შემადგენლობაში შეადგენს 55,5 პროცენტს, მასობრივი თანრიგების სპორტმენებისა კი — 68 პროცენტს.

ᲫᲐᲚᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲐ

იხვეწება „ნორჩი დინამოელის“ კოლექტივების საქმიანობა, რომლის სექციებში შეცადინეობს 5 ათასზე მეტი ბავშვი. გაფართოვდა სპორტული სკოლების ქსელი. დღეს ორგანიზაციებში მოქმედებს ცურვის, წყალბურთის, კალათბურთის, ტანვარჯიშის, ფეხბურთისა და ჭიდაობის სპორტული სკოლები.

ორგანიზაცია აქტიურ სპორტულ მუშაობას ეწევა ბავშვებსა და მოზარდებს შორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანთა საქმეებს, ინსპექციებში არიცხვებენ მყოფ ბავშვებს. თბილისის ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამოელი“ გაზეთ „ზეკვეტის“ პრიზზე გამართულ სრულიად საკავშირო დათვალიერების ლაურეატი გახდა.

განვითარდა საშუფო მუშაობა. „დინამოს“ საქართველოს ორგანიზაცია შეფობს დაბა მცხეთასა და რესპუბლიკის 12 კოლმეურნეობას. მათ უსასყიდლოდ გადასცემენ სპორტულ ნაგებობებს, სპორტულ ინვენტარს და ფორმას.

წლითიწლობით მტკიცდება ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამჟამად საქართველოს დინამოელებს აქვთ ოთხი ფეხბურთის სტადიონი, სადაც არის მძლეოსანთა ბილიკები და სექტორები, სამი სპორტული ბაზა, თექვსმეტი სპორტული დარბაზი, ცამეტი ტირი, სასროლეთი, საცურაო აუზი, ორი სანიბობსრო ბაზა და სხვა სპორტული ნაგებობები.

საქართველოს სპორტი წარმოუდგენელია უდინამოელებოდ. ეს არის ფეხბურთელი, კალათბურთელთა და წყალბურთელთა თბილისის „დინამოს“ გუნდები. საზოგადოების საქართველოს ორგანიზაციის რიგებში ალწარდა ცხრა ოლიმპიური ჩემპიონი. ესენი არიან სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი, რაფაელ ჩიმიშკანა, მზია ჯუღელი, გალინა შარაბიძე, რომელიც შვეიკაძე, ნუგზარ ასათიანი, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ვახტანგ ბალავიძე. ორგანიზაციის აღზრდილებმა 37-ჯერ მოიპოვეს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონთა წოდება, ასზე მეტი სსრ კავშირის ჩემპიონობა. მათ შორის: მძლეოსნები ე. გოგოლევი და ნ. დუმბაძე; მოცურავეები: თ. ლეკვეიშვილი და ი. კუშალევი; ჭიდაბუროელი ა. მეტრეველი და მსროლელი ბ. კოკორევი; ტანმვარჯიშელები რ. სიხარულიძე, პ. შამუგია და ბევრი სხვა.

დღეს სსრ კავშირის ხალხთა მე-8 სპარტაკიადის სადანაული და 23-ე ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადებისადმი მიძღვნილ ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონები — მოჭადრაკე მ. ჩიბურდანიძე, მოჭიდავეები: ვ. ბლაგიძე, თ. ფხაზაძე, მ. სალაშე, ს. ტერნოვიხი, წყალბურთელი მ. გიორგაძე, კალათბურთელი ნ. დერეუგინი, ევრაპის ჩემპიონები, მოჭიდავეები: რ. ხუტაბა და თ. ნამგალაური, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორები ველოსიპედისტები: ე. გელაშვილი, ჰ. ჩეგაროდი, ი. ზიმენკოვი, ხუთშიდელები ი. ბრიზგალოვი და დ. გოგოლი, მოჭიდავეები: ჯ. ტარიელაძე, ზ. წოწორია, მ. ბერუაშვილი, მძლეოსანი ს. სტრიგაკოვი.

ამ მიღწევათა მიღმა ორგანიზაციის წამყვანი მწვრთნელების — ლ. იოკიმიდის, ა. კერსელიანის, ვ. მაისურაძის ი. ბობოხიძის, ნ. ახალაძის, ლ. მოსეშვილის, ა. მარტუფოლაშვილის, ო. მერაბაშვილის, ჯ. კოსტავას, ნ. ნინიაშვილის, ო. ფხაკაძის, ო. გოგოლაძისა და სხვების კეთილსინდისიერი, კვალიფიციური შრომაა. ისინი მუდმივად ამზადებენ სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ანდიდატებს.

საქართველოს „დინამოს“ საბჭოს მუშაობის გაფუძრობესებას ახალი იმპულსი მისცა „დიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის“ შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის სექტემბრის დადგენილებამ. ჩვენ საგულდაგულოდ გაანალიზეთ არსებული შესაძლებლობანი, კრიტიკულად გადავისინჯეთ წინათ გაწეული საქმეთა და დაესახეთ საბჭოს საქმიანობის პერსპექტიული პროგრამა, როგორც ფიზკულტურულ მასობრივ მუშაობაში, ისე მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმი, ამ პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები გვესახავს ახალ ამოცანებს. რაც შეეხება „დინამოს“ სპორტულ ორგანიზაციებს, ლაპარაკია იმაზე, რომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სპორტული ნაგებობები მოსახლეობის მასობრივი ფიზკულტურული მეცადინეობის ორგანიზაციის, სატყორებელი ადგილის მიხედვით ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ამ საფუძველზე წამყვანი სპორტსმენების სპორტული ოსტატობის ამაღლების, საერთაშორისო კლასის სპორტსმენის მომზადებისათვის, რომლებიც დირსეულად წარმოადგენენ ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიურ ასპარეზობაზე ჩვენს ქვეყანას.

საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანები რთულია, მაგრამ, უთუოდ შესასრულებელი, ეს დამოკიდებულია ყველ დინამოელზე, სპორტსმენზე და მწვრთნელზე, მუშასა და მოსამსახურეზე, ერთი სიტყვით, ყველა იმაზე, ვინც სრულიად საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრია.

ნ. ᲒᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
ს. ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ,
- დამსახურებული ოსტატი.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ᲒᲐᲘᲐᲠᲗᲐ საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრობის მოვალეობანიდან გაათავისუფლა ე. ნ. ორჯონიკიძე სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად მისი არჩევის გამო.

პლენუმმა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ვ. გ. ლორთქიფანიძე და გაათავისუფლა იგი საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია ი. გ. ჯიქურაშვილი და გაათავისუფლა იგი საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად პლენუმმა აირჩია ჯ. ვ. მარგველაძე, რომელიც საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნად მისი არჩევის გამო.

პლენუმმა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის ორმაჩინის რაიკომის პირველ მდივნად მისი არჩევის გამო.

პლენუმმა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ნ. ნ. აშუბა — საქართველოს ალკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმმა ა. ვ. შემანიშველი გაათავისუფლა საქართველო ლ ო ს ალკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის მეთაურის მოვალეობისაგან პატიოსან საშუშაოზე გადაყვანის გამო.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ვ. კოლბინმა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. ტ. შარტავა, სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვ. ი. პორტნოვი და ვ. ს. მოლოდცოვი.

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

— შეგახსენებთ, მეგობრებო, და გირჩევთ დღესვე ჩაერთოთ ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება ჯანმრთელობის, სპორტის დღესასწაული. ძველა ბაღობის სუფთა ჰაერზე, პარკებში, ბაღებში, სტადიონებზე, ტურისტულ ბილიკებზე!



ᲒᲣᲜᲓᲘ ხარაგოში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მესამე ტურის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „მეტალურგსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. თამაში დამთავრდა „მეტალურგის“ გამარჯვებით — 2:0.

ლია ბარათი

ბაქოელის რაიონის სოფელ კუროვდის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ზალვა რევაზაძის

არ ვიცი, რატომ, ამ ადრიან გაზაფხულზე ფიქრის ქია შემოჯდა, ჩემი ყორნის გამახსენა, შენს გვერდით გატარებული ფუხმიქალა ბავშვობა მომაგონა და ეს ღია ბარათი მომაწერინა.

ხომ გახსოვს, თუმცა რა დაგაინებებს, მაშინ ომის ქარ-ცვარ-ში ტრიალებდა, ძაფთან გერმანელები იდგნენ და ჩვენი პატარა სოფლის ყოფნა-არყოფნაც ერთი ნახატომით იზომებოდა. ეზო-ეზო შიმშილი და გაძარცვა დაბაღვიძებდა. მაგ-ზე ბიძებს ფრონტზე იბრძოდნენ, ჩვენ კი, პატარა ბიჭებსა და ჯუნ-ებში, ლონემიხდილ ქალებს ვუდგით მხარში და გაკვეთილზე ვ-ს დამთავრების შემდეგ სიმინდის ყანებს ვმარცვლავდით ან ვამაროდებდით. დღის სინათლეში ვინ მიგვაგულა, საღამო ხანი, როცა მზე ნაქერალს ჩაგდებდა და სოფლები დაბურძგნილ ჩაბნიდებოდა, თავს შეეყრებით მთელი დღის შრომით დაქანცულები —მე, შენ, ალიოშა, ალიმი, სენხია... ერთი სიტყვით, მთელი სოფლის ბიჭები და გვიან ღამემდე დავფეთით ჭინჭის ბუთნის ცაცხვებში თუ მიდის-წყაროში, საცაა ხე, თუ სარეკავაზე.

კარგი თავმჯდომარე გვყავდა — ხელო ძნელად, მაგრამ გაბედოს, ალბათ, თითოეულ ჩვენგანს რამდენჯერ გვითქვამს საკუთარი — რა მოხდება, ერთი ნამდვილი მართი გავიდოდნა-ს, მაინც ეს აუხდენელი ოცნება იყო. ხმამაღლა თქმას ვინ გაბედავდა. ჩუმად თუ ჩავიჯუნჯუნებდით. თუმცა კარგად ვიცოდით, რომ ჩვენი ბურთისათვის არავის ეკადრება იმ ცეცხლის და ალარაში.

ახლა თავმჯდომარე შენა ხარ და შიკერის, რომ დღეინებია ბავშვობის ოცნება. არა, ჩვენი ნათქვამი საკუთარი ნუ გაგიკვირდება. საქმე ბურთი როდია. ახლა კურსებში ყველა ბავშვს აქვს ნამდვილი ბურთი. არც სერგოზე ნაკლებ თავმჯდომარედ მიმაჩნია. ვიცი. შენი კაიკაცობითაა ახალი ოდები რომ ნახოფიმეს კურსელებმა, ყანები და პლანგაციები რომ პაიონერებს არც არფის უძორს, არც არფის არაფერი აქლია.

ოღონდ ერთია. გახსოვს ზაფხული სოფლად გაგატარე. ყოველ საღამოს ბაზრიდან წყაროსთან იყრიდნენ თავს ჩვენი თანაბის შვილიშვილის, ოსიაზე პაპაგნები, ჩვენ რომ ვიცავით ამ ორმოცდაც წლის წინათ. ქვაკრის ბაღის ბოლოს ორიოდე შტაგელ მოუხვიც მინაზე ვეკიანობადი თამაშობდნენ ბურთს. გასანაღვეი ადგილი არ ჰქონდათ ბიჭებს. ხან ხრამში მისდევდნენ ცილქნა მოეცნიდან გადავარდნილ ბურთს, ხან ყანებში დაეძებდნენ. მოედანი სიტყვაზე ვთქვი, თორემ შენც კარგად იცი, მოედნობის ამ ადგილს არავერი აბდია.

აბა, რა ქნან? სარუკაციაში სამშენებლო ქვასა სტეხენ და დღეღამე ვეძახ თვითმცლელები და ბულდოზერები დაგრუხუნებენ. მილისხვარიში, კურსელების მარჯვენამ იხარის, დიდებული ბრძანებაც ეწერა მენეჯერის ბრძანებაში: ყანა დაეცავით ყანა დაგიფიცაო, მარჯანა-მორიდი დაგენებებით, მაგრამ ნაკვალევი სიმინდის ყანა სასილოსედ მაინც გამოგვებოდა და იქ ბურთის თამაში ვინ იკადრებდა, არც მოერიზებებოდა... ერთი ამოვედა სოფლები, საღაც ათასმეკ კოლეი მაინც ცხოვრობს, ბურთის გასაკარებელი ადგილი ვერ მოუხასათ ოყრიბელ ყმანვილებს.

ღარიბად რომ იყოო, საცვდურს რა ნამოსაცდელად. თქვენს ვეება ბელებს ერთი ათიოდე ფუთი სიმინდი რომ დაკალდეს, ბრაგერა შეგიძლიათ. რა გაძორებდნენ სოხუმის, ბათუმის ნაკრებები, ერთ პატარა ყანას ნაყანავი რომ დაარქვათ, შემოლობოთ, ორი კარი ჩადგათ და ფეხბურთის მოედნად აქცოო?

შენ წარმოიდგინე, ჩემო მალე, ჩვენს პატარა ხიქოპაში სეროო-თავმჯდომარეს ასეთი ხატი რომ მოეძღვნა ჩვენთვის ოცნებას ოქმის ვინ გაბედავდა. მაგონდება, ალბათ დღემდე გამოგვვებოდა. ვინ ვ-ს იქნებ ჩვენს შორის კარგი ფუხბურთელც გამორჩენილიყო.

ხომ გახსოვს, როგორ თამაშობდა ალიოშა, პაიჭად რომ შევარქვით ზედმეტ სახელად? ამ ნერწილსაც იმიტომ გვერ, რომ შორეული ყრმობა გაგახსენო. მშიერ-მწყურვალნი ქალის ნატეხს ისე არ ვნაბრობდით, როგორც ბურთსა და მოედანს. ახლ ჯუნებში ყველა ბავშვს აქვს ნამდვილი ბურთი. არც სერგოზე ნაკლებ თავმჯდომარედ მიმაჩნია. ალიოშა ვერ ვიხსენებთ ალიოშა ვერ ვიხსენებთ ალიოშა ვერ ვიხსენებთ

ARMENIA
ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

პარტია გადატანილია

ლვოვი, 2 აპრილი (ტელეფონით, „ლელოს" საც კორ.). ნ. გაფრინდაშვილი — ი. ლევენტინას მატჩის მეათე პარტია დღეს არ შეიდგმარა. ლენინგრადელმა დიდოსტატმა „ტიმ-ატიკ" უფლებით ისარგებლა. ეს პარტია დღეს, 3 აპრილს უნდა გაიმართოს.

მატჩში ამჟამად ლიდერობს ნ. ოსეულიანი — 5,5:2,5.

ვ. სმისლოვისა და რ. ჰიუზბერის (აგრ) ორთაბრძოლის მეხუთე პარტია 35-ე სვლაზე უაიმთო დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 3:2 სმისლოვის სასარგებლოდ.

აი, როგორ წარიმართა ბრძოლა მეექვსე პარტიაში.

როგორც ყველა პარტიაში, მატჩმეუფემ ამჯერადაც სოცალიური დაცვა გაითამაშეს. ლიუ შილანმა სწრაფად დაამთავრა ფიგურების მობილიზება, გრძელი როქე გაავითა. იგი იერიშს ამზადებდა მეფის ფრთაზე. მაგრამ ოსეულიანმა დასწრო ბქტერი თამაშის დაწყება — ამომძრავი ლაზერის ფრთის პაიკები და ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა. მუქარის უფეხელყოფის მიზნით ლიუ შილანმა მხედრის, ლაზერის და თითო ტურის გაცვლის შემდეგ თამაში ენდშპილში გადაიყვანა, სადაც მეტოქეთა ბრძოლამ ახალი სიმძაფრით იფეთქა. ჩინელმა მოჯადოკვმ პაიკი მოიგო, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. ოსეულიანმა პოზიციის გათანაბრებისთვის ენერგიულად გამოიყენა ორი ქუ.

მეექვსე პარტია:

ლიუ ჭილანი — ოსეულიანი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ♘f3 d6 3. d4 c×d4 4. ♘×d4 ♘f6 5. ♘c3 a6 6. ♗g5 e6 7. ♕d3 ♗e7 8. ♗e2 h6 9. ♗h4 0-0 10. 0—0 ♕c7 11. f4 b5 12. ♗×f6 g×f6 13. ♗h5 ♖c5 14. ♕e3 b4 15. ♘ce2 ♗d7 16. ♖hg1 a5 17. ♗hf1 ♗h7 18. ♗d2 0—0—0 19. ♘c1 ♖hg8 20. f5 e5 21. ♗b3 ♗c6 22. ♗f3 ♕a7 23. ♗g3 h5 24. ♗×c5 ♘×c5 25. ♕×c5 d×c5 26. ♘×d8+ ♔×d8 27. h4 c4 28. ♗h1 ♗h6 29. ♔×h5 ♗h6 30. ♗f1 ♗e3 31. ♔×f7 ♘×h4 32. ♔×c4 ♔×e4 33. ♗×e4 ♘×e4 34. ♕e1 ♗h4 35. a3 ♔c5 36. ♔d5 b×a3 37. b×a3. ყოფნა.

ასპარეზობენ მეხანძრეები

გუშინ, 2 აპრილს, თბილისში გაიხსნა საქართველოს IX ღია ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში, სპორტის ოსტატმა ა. შუსტოვამა, მეორე ადგილზეა თბილისელი ო. სიხარულიძე. ამავე დღეს ჩატარდა მონაწილეთა პარადი და სახანძრო ესტაფეტა (4X100 მ).

დღეს, 3 აპრილს, შეჯიბრება გაიმართება სასწავლო კოშკის ფანჯრებში საეიროში და გასაწვრთნო ცოხით ასვლაში. შეჯიბრება დაიწყება ორჯონიძის რაიონის სახანძრო ნაწილში (სახელოს ქუჩა №28), 16 საათზე კი ჩემპიონატი დაიხურება.

თ. ქიქავა.

ბად-კისინგენში

გუნი-ის ამ ქალაქში გრძელდება მ. მერეშან (ტუმინეთი) — ლ. სემოთოვა (სსრ კავშირი) მატჩი. გათამაშდა კიდევ ორი პარტია. მესამე პარტია მოიგო მერეშანმა, მეოთხე — სემოთოვამ.

მატჩში ვკლავ სემოთოვა ლიდერობს — 3:1.

ალიკანტეში...

დღეს, 3 აპრილს, ესპანეთის ზღვისპირა ქალაქ ალიკანტეში დაიწყება პრეტენდენტთა კიდევ ერთ მეოთხედფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან ნანა ალექსანდრია და ტატიანა ლემჩუკო, ზოლტან რიბლი (უნგრეთი) და ეუგენია ტორე (ფილიპინები).

ამ მატჩებშიც ათ-ათი პარტია გათამაშდება.

● ბადრაკი

დღეს, მოსკოვში...

3 აპრილს მოსკოვში, ცსკა-ს უნივერსალურ სპორტულ დარბაზში დაიწყება სსრ კავშირის მოჭიდრაკე ვაჟთა საუხებელო, 50-ე ჩემპიონატი.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ის გამოჩენილი დიდოსტატები და ახალგაზრდა ოსტატები, რომლებმაც ჩემპიონატის საგზურები მესაზრებ ტურნირებში მოიპოვეს.

აი, ისინიც: მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი (ორივე მოსკოვიდან), მ. ტალი (რიგა), დოსტატები ლ. პოლუგაევსკი, ე. გელერი, ა. იუსუპოვი, ი. ბალაშოვი, ი. რაზუვაევი (ყველა — მოსკოვი), ა. ბელიავსკი, ო. რომანიშინი (ორივე — ლვოვი), რ. ვასანაინი (ერევანი), ლ. ფსახისი (ყრასნოიარსკი), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), საროსშორისო ოსტატები ბ. გახმანი (ტაშკენტი), ქ. ლერნერი (ოდესა), ოსტატები ზ. აზმაიფარაშვილი (თბილისი) და ვ. მალანიუკი (სევასტოპოლი).

„მარათონი-83"

გუშინ, თბილისში, სანაპიროზე უმაღლესი სპორტული დოსტატების რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი ხ. დუმბაძე) და მასთან არსებული რაენის მონაწილთა კლუბის (ხელმძღვანელი გ. როსი) ინიციატივით გაიმართა „მარათონი-83", რომელშიც მონაწილეთა მიიღეს რაენის მოყვარულთა კლუბების „როსინანტის", „ჟუს" და „ამირანის" წევრებმა, აგრეთვე სპორტული სკოლის მძლეოსნებმა. შეჯიბრებაში სტუმრებიც, თელაველი სპორტსმენიც გამოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ სპარეზობაში გამარჯვებულმა, თბილისელმა ირმილმა ი. ციგულიამ (ასკ) საქართველოს მიღწევა დაამყარა — 2:21. 32,0.

* * *

სურათებზე: სტარტზე ფინიშთან ი. ციგულიანი.

ე. ბუცხრაკიძის ფოტოები.

ორი პრიზიორი

უნებრიდებით დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტის სასახლის რინგზე დამთავრდა სსრ კავშირის იუნიორ მოკრივეთა ჩემპიონატი. ასპარეზობაზე ორი ბრიგადის მეფალი მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ყველაზე მსუბუქ — 48 კგ წონით კატეგორიაში მესამე პრიზიორი გახდა ჩვენი გვეულის ჭაბუკთა შორშორეთ შეკიბრებაში გამარჯვებული, თბილისელი ა. კახბერიძე, რომელიც „შრომითი რეზერვების" სახელით გამოდიოდა. ქ. თბილელმა („ლოკომოტივი") გ. ბაქრაძემ (91 კგ) ბრინჯაო მოიპოვა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ: ლ. ჰაპაიანი (ყირგოვანი, „შრ. რეზ."), რ. ბილიული (ყაენაი, „ტრუდი"), ო. ნაზაროვი (ანტი, „შრ. რეზ."), ს. გურეგიანი (ლენინაკანი, „შრ. რეზ."). ა. შერაბაკოვი (მოსკოვი), ბ. სარსანიანი (ჯამბული, „ბურევესტნიკი"), ა. ანტიკუზი (დონეცკი), ს. სმირნოვი (ნიპროპეტროვსკი, „შრ. რეზ."), ნ. შანავაზოვი (ბახჩისარაი, „დინამო"). გ. გორეკიანი (ფერღანა, „ბურევესტნიკი"), ა. პოპოვი (მოსკოვი, „დინამო"), ს. პასკინი (ულიანოვსკის პროფკავშირები).

● კრიკეტი

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-14 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 4 (კრივე), 19 (სათხილამურო ჯოგი), 20 (ფეხბურთი), 22 (წყალბურთი), 25 (ცეკვაობა), 46 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 2 (ბიატლონი), 11 (ფრენბურთი), 21 (ცურვა), 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა).

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „ლოკომოტივის" ბაზა დილიჟში. „ხვარგეო" (თბილისი) — „ორბი" (ბორჯომი). თამაშეწყება 15 სთ. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „მერეთი" (ლაგოდეხი). 17 სთ.

სტუდენტთა შორის

ბასკეტბოლი. სამეურნეო ინსტიტუტის და სამედიცინო ინსტიტუტის საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რეგიონალთა გუნდების ჩემპიონატი რესპუბლიკის უმაღლესი და სპეციალური განათლების სამინისტროს თასზე. ამჟამად შეჯიბრება, რომელიც ჩვენში პირველ ეტაპზეა, მიმდინარეობს ყოველწლიურად უნივერსიადის პროგრამით გაიმართება.

პრიზის გათამაშებაში მონაწილეობენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, საქართველოს ზოოვეტერინალურ-ტექნიკური სასწავლო-საცდელი ინსტიტუტის, საქართველოს პოლიტეხნიკური ინსტიტუტის, თბილისის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის გუნდები. შეჯიბრების მთავარი მსაჯია ზ. რუხაიშვილი.

სამი ტურის შემდეგ 7-7 ქულით ლიდერობენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ზოოვეტერინალურ-ტექნიკური სასწავლო-საცდელი ინსტიტუტის რეგბოლისტები, ტექნიკური შედეგები: I ტური. თსუ — სპი 4:4, სსი — ზოოვეტ. ინსტ — 18:4, II ტური. თსუ — სსი 9:4, ზოოვეტ. ინსტ. — სამედიცინო ინსტ. 17:6. III ტური. სსი — სამედიცინო ინსტ. 21:13, ზოოვეტ. ინსტ. — სპი 17:14.

ბოლო ორი ტური 3 და 5 აპრილს სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონზე გაიმართება. მატჩები დაიწყება 13 საათზე.

დ. თამაშაიშვილი.

ფარიკაობა

გუდაკეთის საფარიკაო ბილიკებზე გრძელდება თუნიერთა მსოფლიო პირველობა. რაპარისტა ტურნირში უველას აჯობა იტალიელმა ვიტალენტამ, მეორე ადგილზეა მისი თანამემამეული ჩერიონი, „ბრინჯაო" წილად ხვდა უნგრელ ერშეკს. ბაკოელი მორღუბევი მეოთხე ადგილზე გავიდა, მოსკოველი ვედონინი — მეექვსეზე.

ჰანორაკი

● ფრენბურთი

საკართაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ ამჟამადელმა ფრენბურთელმა ქალებმა ამხანაგური მატჩი გამართეს სსრ კავშირის ბაქრაძეთა და გაიმარჯვეს 3:0.

ლეგიონერთა ნაკრების მთავარ მწვრთნელობად ერთად მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთის ტრადიციული ტურნირში „საგარიას თასზე".

● წყალბურთი

ესპანეთის საკრორტო ქალაქ პალმა-დე- მალორკაში დაიწყო წყალბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა და უგვოსლავიელ წყალბურთელებს შეხვდებიან პირველ დღეს ორჯერ მოიხედათ ჩემპიონის ჩატარება. პირველ შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონებმა — საბჭოთა სპორტსმენებმა სძლიეს იუგოსლავიელებს — 9:5, ხოლო მეორე შეხვედრაში წყაგეს იტალიელებთან — 8:9. იუგოსლავიელებმა მეორე შეხვედრა მოიგეს ტურნირის მასპინძლებთან — ესპანელებთან 9:6.

დანარჩენი შეხვედრები: გფრ — საფრანგეთი 10:4, კუბა — ჰოლანდია 9:9.

მეორე დღეს საბჭოთა წყალბურთელებმა კვლავ ორი შეხვედრა გამართეს და ორივეში გაიმარჯვეს. მათ ანგარიშით 9:8 სძლიეს პოლანდიის, ხოლო 11:10 კუბის წარმომადგენლებს. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 6 ქულა მოაგროვა და გფრ-ს გუნდთან ერთად ლიდერობს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-61-7,1 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პრობაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჰიგიკაის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მეშვიდენები — 98-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გაგონვაცმლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია ოფსეტური წესით. ს.-გაზეთო კომპანიში, ნოემბერაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე — 07476